ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1898257

ნომერი: AR1309338

თარიღი : 13.05.2015

გაცემის თარიღი : 15.05.2015

გაცნობის თარიღი : 15.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლამზირა კოროშინაძე პ/ნ 61001058267
- ბათუმი ალ.პუშკინის ქ. N 125_127 ბ. 34

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1345115
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.06.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #ბ-12/15098734-16 11/05/2015წ. ბრძანებისა, "გ–ა" ფასადზე მინაბლოკის ღიობების ნაცვლად მოწყობილია ფრამუგები და ვინაიდან აღნიშნულით ირღვევა სამეზობლო მიჯნის ზონა დაურეგისტრირებელი ნაკვეთის მიმართ (და სავარაუდოა, რომ შემდგომი ეტაპისათვის განხორციელდება მისი რეგისტრაცია), ღიობები უნდა ამოაშენოთ ან შეავსოთ მინაბლოკით. აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაბამისი დადგენილება და ფოტოსურათები "გ–ა" ფასადის ფიქსაციით.

ასევე წარმოსადგენია შ.პ.ს. "პროფილ ბილდინგი"–ს დირექტორის, რომან კუნჭულიას მინდობილობა (დამოწმებული ნოტარიულად) ან აღნიშნული პირი უნდა დაარეგისტრიროთ თანაგანმცხადებლის სახით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.